ჩემპიონატი

http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1938&cl=8
დაამატა **ერლან მანაშევმა**

"დინამო" (თბილისი) - "სპარტაკი" (ხარკოვი) - 7:1 (2:1)
21 სექტემბერი. თბილისი. ლ. ბერიას სახ. „დინამოს“ სტადიონი. 20 000 მაყურებელი. მსაჯი კ. კაპრანოვი (დონის როსტოვი).
გოლები: 1-0 ხარლამოვი (5, ავტოგოლი), 2-0 მინაევი (7), 2-1 გუსაროვი (42, პენალტი), 3-1 ბერძენიშვილი (57, პენალტი), 4-1 პაიჭაძე (60), 5-1 პაიჭაძე (63), 6-1 ლოლაძე (86), 7-1 პაიჭაძე (88).

"დინამო": ტყებუჩავა, შავგულიძე, ნიკოლაიშვილი, ჯორბენაძე (ფროლოვი), მინაევი, კიკნაძე, ჯეჯელავა, ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ლოლაძე, სომოვი.

"სპარტაკი": დევლიაშოვი, კირილოვი, ივანოვი, ხარლამოვი, შვედოვო, ანდრეევი, კნიაჟევსკი, მაკაროვი, გუსაროვი, ა. სეროვი, ლესნოი.

თბილისის "დინამოს" გამარჯვება

21 სექტემბერს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე ჩატარდა მორიგი კალენდარული შეჯიბრება ფეხბურთში სსრკ პირველობაზე. თამაშობდნენ თბილისის "დინამოს" და ხარკოვის "სპარტაკის" გუნდები.

ტაიმი დინამოელთა აშკარა უპირატესობით დაიწყო. მე-8 წუთზე გარღვევაზე გადავიდა პაიჭაძე, მას მისდევენ შვედოვი ("სპარტაკის" ნახევარდამცველი) და ჯეჯელავა. პაიჭაძემ ბურთი მიაწოდა კარისგან 13 მეტრით დაშორებულ ჯეჯელავას. შვედოვი შეეცადა უდაო გოლის გადარჩენას, მაგრამ შეცდა და ძლიერი კუთხური გარტყმით თავისივე ბადეში მოაქცია პირველი ბურთი. მე-9 წუთზე ჯეჯელავას მიერ ზუსტად გადაცემული ბურთი თავური გარტყმით გაიტანა მინაევმა – 2:0. თბილისელები დაკმაყოფილდნენ მოპოვებული მიღწევით და აწარმოებდნენ ძალზე მოდუნებულ თამაშს. სტუმრებს მიეცა პირველი ტაიმის მეორე ნახევარში ბურთის გატანის შესაძლებლობები, რაც კარში სუსტი დარტყმის გამო ვერ გამოიყენეს. ტაიმის უკანასკნელ წუთებში "დინამო" დაჯარიმდა ორი "პენალტით". სტუმრებმა გაიტანეს ერთი ბურთი.

პირველი ტაიმი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ – 2:1

შეჯიბრების მეორე ნახევარში გააქტიურდნენ "დინამოს" თავდამსხმელები. განსაკუთრებით აღსანიშნავია პაიჭაძის გარღვევები, რომელმაც გაიტანა სამი ბურთი. გარდა ამისა ბერძენიშვილმა ("პენალტით") და ლოლაძემ გაიტანეს თითო ბურთი. მატჩი დამთავრდა თბილისის დინამოელთა ბრწყინვალე გამარჯვებით – 7:1.

ვ. გ-ლია.
"მუშა", 23 სექტემბერი, 1938 წ.